

**სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურა „მომავლის სკოლა“-ში
დვალი მ., მეტრეველი მ.
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო
უნივერსიტეტი**

შესავალი

საქართველოში მოქმედი საჯარო სკოლების დიდ უმრავლესობა აშენებულია წინა საუკუნის 70 წლების სტანდარტის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა სკოლაში ერთ სპორტულ დარბაზს ზომით 24*12. იმ დროისთვის ეს საკმაოდ კარგ მაჩვენებლად ითვლებოდა, რადგან მისი წინამორბედი სტანდარტით დარბაზის ზომა შეადგენდა 18*10 მ.მ., ამასთან 20 საუკუნის 70-იან წლებში საჯარო სკოლების სტანდარტის ის დონე, რომელიც დაინერგა საქართველოში იყო ძირითადად გათვლილი 800 მოსწავლიან სკოლებზე.

იმ პერიოდში ერთ კლასში ბავშვთა რაოდენობა შეადგენდა მაქსიმუმ 40 ბავშვს, ამასთან იყო 10 წლიანი სწავლება. შესაბამისად სკოლის შენობა გათვლილი იყო 20 კლასზე. ფიზიკური აღზრდის მოცულობა შეადგენდა კვირაში 2 საათს ანუ სრულ კლასკომლექტს კვირაში უწევდა 40 საათის დატვირთვა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ იმ პერიოდში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა კვირაში 6 დღე (ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით), რაც დარბაზის გამტარუნარიანობის შესაძლებლობას ზრდიდა კვირაში 38 საათამდე და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლების დიდი ნაწილი სწავლება იყო ორ სმენად, 1 დარბაზი სრულად აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა საუკუნის 80 წლებიდან დაიწყო სკოლებში საცურაო აუზების მშენებლობა. დღესაც არის შემორჩენილი ეს ნაგებობები, მაგრამ საქმიანობას აწარმოებს მხოლოდ ერთეულები.

ძირითადი ტექსტი

სამწუხაროდ, გასული თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე სკოლის ახალი სტანდარტი არ შემუშავებულა (ყოველ შემთხვევაში სპორტული ინფრასტრუქტურის მიმართულებით) და ფაქტიურად იგივე რჩება. ახალაშენებულ სკოლების დიდ უმეტესობაშიც გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი დარბაზი იგივე ზომებით, ხოლო იმ სკოლებში, რომლებიც სულ ახლახან ხელმეორედ აშენდა 61-ე, მე-100-ე და ა.შ. კვლავ ისეთივე ზომის დარბაზებია, როგორც იყო 70 წლის წინ ამ სკოლების მშენებლობის მომენტისთვის.

განვიხილოთ 50 წლიან პერიოდში, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულში სასწავლო პროცესმა და შესაბამისად, ეროვნულმა სასწავლო გეგმამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, პირველ რიგში სწავლის პროცესი გახდა 5 დღიანი, სკოლაში სწავლის ხანგრძლიობა გაიზარდა 10 წლიდან 12 წლამდე, 1 კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შემცირდა 30 ბავშვამდე. ამასთან, დაწყებით I-IV კლასებში კვირაში 3-მდე

გაიზარდა ფიზიკური აღზრდის საათების მოცულობა. მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ფიზიკური აღზრდის და სპორტის საათები კვირაში (1 კლასისთვის I-

დან XII კლასის ჩათვლით) შეადგენს 27 საათს, ამასთან დაწყებით კლასებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დღეში მაქსიმუმ 5 საათს. ელემენტარული გათვლით ჩანს რომ 1 დარბაზს შეუძლია დააკმაყოფილოს 12 კლასი ანუ მაქსიმუმ 360 მოსწავლე. ანუ სკოლას სადაც სწავლობს 360-ზე მეტი ბავშვი სჭირდება ერთზე მეტი სასპორტო დარბაზი, აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ბევრ სკოლაში, განსაკუთრებით რეგიონებში, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა მერყეობს 14-20 ბავშვამდე, ხოლო მთიან რეგიონებში ეს ციფრი შეადგენს 6-12 ბავშვს, რაც შესაბამისად ამცირებს სპორტული დარბაზის ფაქტიური გამტარიანობის მაჩვენებელს.

არსებული სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლების მხოლოდ 78%-ს გააჩნიათ თუნდაც ერთი სპორტული დარბაზი, აქედან შედარებით უკეთესი მაჩვენებელია თბილისში, სადაც სკოლების უდიდეს უმეტესობას 99% აქვს ერთი დარბაზი, ხოლო მოქმედი სკოლების 22 % ორი. საქართველოს მასშტაბით ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ქვემო ქართლსა და გურიაში სადაც სკოლების შესაბამისად მხოლოდ 62% და 64 %-ს გააჩნიათ სასპორტო დარბაზი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქვეყნის საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ 44%-ს , გააჩნია 400 მ² (24*12 მ²) ფართის დარბაზი. აქაც შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს თბილისს თითქმის 80%. ამ ზომაზე უფრო დიდი დარბაზი მთელ ქვეყანაში არის სულ 4.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც რომ სკოლების დიდი რაოდენობა ფიზიკური აღზრდის საგნისათვის იყენებს სხვა ალტერნატიულ ფართებს, კერძოდ სააქტო დარბაზი, დერეფანი, საკლასო ოთახი და სხვა. ამ მაჩვენებლით ქვეყნის სკოლების მხოლოდ 10 %-ს გააჩნია ორი ობიექტი, სადაც შესაძლებელია ფიზიკური აღზრდის საგნის წარმართვა. ამ მონაცემითაც ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ქვემო ქართლში სადაც სკოლების 8%-ს საერთოდ არ გააჩნია არანაირი სპორტული ინფრასტრუქტურა, უკეთესი სიტუაციაა თბილისში, სადაც სკოლების თითქმის 70% აქვს ორი სპორტული ობიექტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მაჩვენებლის ღრმა ანალიზმა გვიჩვენა ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ქვეყნის მასშტაბით, კერძოდ ჩვენ მიერ თბილისის მაგალითზე (სადაც კლასში ბავშვთა საშუალო რაოდენობა ყველაზე მაღალია) გაკეთებულმა გაანგარიშებამ აჩვენა, რომ სკოლების ინფრასტრუქტურა მხოლოდ 64%-ით აკმაყოფილებს მოთხოვნას სპორტულ ობიექტზე, აქედან სპორტულ დარბაზზე 46 %-ით, ხოლო 400 მ² ფართის სპორტულ ობიექტზე მხოლოდ 30 %-ით. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ არსებული სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურის დაახლოებით 70% მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას

ჩვენი აზრით აღნიშნული საკითხის მოგვარება შესაძლებელია ხუთი მიმართულებით

1. არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია
2. სკოლაში არსებული ალტერნატიული შესაძლებლობების მოძიება და მათი რეკონსტრუქცია
3. ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწა, მაგალითად, მაღალ საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების საგაკვეთილო ბადიდან ამოღება და სავალდებულო კლასგარეშე საათად შემოღება, ან იმავე საფეხურზე ლაშქრობებსა და ექსკურსიებზე და სხვა აქტივობებზე აქცენტის გაკეთება
4. საჯარო სკოლებთან მიმდებარედ არსებული სახელმწიფო, მუნიციპალური თუ კერძო სპორტული ობიექტების გამოყენება სასწავლო პროცესისათვის, რაც აქტიურად არის დანერგილი უცხოეთის ბევრ წამყვან ქვეყანაში..

5. ახალი ობიექტის (სკოლის) მშენებლობისას სპორტული ინფრასტრუქტურის სტანდარტის დაკმაყოფილების პირობის შემოტანა, რაც მოითხოვს ახალი სტანდარტის შემუშავებას და დამტკიცებას. ამასთან აღნიშნულმა მოთხოვნამ უარყოფითი გავლენა, რომ არ მოახდინოს კერძო სექტორის განვითარებაზე ახალი სტანდარტის დანერგვა უნდა მოხდეს ეტაპობრივად გთავაზობთ, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის 3 ეტაპიან მოდლს, რომელიც დაიყოფა შემდეგ ნაწილებად სავალდებულო, სარეკომენდაციო და პერსპექტიული სავალდებულო ეტაპზე უნდა მოხდეს ახალი სტანდარტის გათვალისწინებული პირობების მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს არსებული სპორტული და ფიზიკური აღზრდის პროცესის ჩასატარებლად ვარგისი სასკოლო ინფრასტრუქტურისათვის გარკვეული რეკონსტრუქციული სამუშაოების ჩატარების, ასევე რიგი ორგანიზაციული სახის ნაბიჯების განხორციელების შემთხვევაში და მისი შესრულების ვადამ შესაძლებელია შეადგინოს 1-დან 4 წლამდე.

- სარეკომენდაციო ეტაპი ძალაში შევა 5-7 წელიწადში და უკვე აკრედიტებულ კერძო სკოლებს მოუწევთ მისი დაკმაყოფილება იმ პერიოდისათვის და პერსპექტიული სტანდარტი, რომელიც განსაზღვრული იქნება 20-25 წლიან პერსპექტივაზე.

ამასთან სავალდებულო სტანდარტი ახალი მშენებლობისათვის უნდა ამოქმედდეს დაუყოვნებლივ, ხოლო მოქმედი საჯარო სკოლებისათვის უნდა გაიწეროს გრძელვადიანი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლების ოპტიმიზაციას, ქალაქების ცენტრების გათავისუფლებას (აქედან გამომდინარე უამრავი დადებითი შედეგით - ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სატრანსპორტო კოლაფსის შემცირება, პრივატიზაციიდან მიღებული ეკონომიური შემოსავალი და ა.შ.) ასევე მცირეკონტიგენტიანი სკოლების გამსხვილება რეგიონებში პერიფერიების ათვისებას, სკოლების გამსხვილებას, ხარჯების ოპტიმიზაციას და სხვა.

სპორტული ინფრასტრუქტურის სტანდარტის შესაქმნელად წარმოდგენილია 3 ვარიანტი:

სავალდებულო ინფრასტრუქტურის და ინვენტარის ნუსხა და რაოდენობა, რომელიც უნდა გააჩნდეს სკოლას სასწავლო პროცესის მინიმალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;

I. სარეკომენდაციო ინფრასტრუქტურის და ინვენტარის ის რაოდენობა, რომელიც ესაჭიროება სკოლას სასწავლო პროცესის ნორმალურად ჩასატარებლად;

II. პერსპექტიული სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურის და ინვენტარის ის რაოდენობა და ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს მომავლის სკოლის სასწავლო პროცესის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ჩატარებას.

დასკვნა

ქვეყნის საჯარო სკოლების დიდ ნაწილში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის, ეროვნული სასწავლო გეგმით, განსაზღვრულ საათობრივი დატვირთვების მოცულობას. აღნიშნული პრობლემის გამო ფიზაღზრდის გაკვეთილები ტარდება ერთდროულად რამდენიმე კლასში, არაშესაფერ გარემოში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლების ხარისხს.

ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით სტატიაში შემოთავაზებულია 5 მიმართულება, რომელთა დანერგვაც შესაძლებელს გახდის პრობლემის ეტაპობრივად აღმოფხვრას და პერსპექტივაში თანამედროვე სპორტული სასკოლო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის და მეთოდის საფუძვლები. I ნაწილი. რედაქტორი კახიძე გ., თბილისი, 2002 წელი.
2. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის და მეთოდის საფუძვლები. II ნაწილი. რედაქტორი კახიძე გ., თბილისი, 2004 წელი.
3. თ. მიქიაშვილი ი. დოლიძე. ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში, თბილისი, 2016 წელი.

სასკოლო სპორტული ინფრასტრუქტურა „მომავლის სკოლა“-ში

მანუჩარ დვალი, მამუკა მეტრეველი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია სტატისტიკური მონაცემები და ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნილი, რომელთა უმეტესობაში არსებული

სპორტული ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნის სასწავლო გეგმას. სტატიაში ნაჩვენებია ამ პრობლემის გადაჭრის 5 ძირითადი მიმართულება და ამ გზების რეალიზაციის ეტაპები.

სტატიის ავტორთა აზრით მოკლე ვადაში შესაძლებელია დარბაზების გადატვირთულობის პრობლემის ნაწილობრივ დაძლევა, არსებული სპორტული ბაზების რეაბილიტაციის, სკოლებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების ფიზაღზრდის გაკვეთილებისათვის დამატებითი ფართების მოძიების, ასევე პერსპექტივაში სრულფასოვანი ინფრასტრუქტურის შექმნის მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სპორტული ობიექტები და ინფრასტრუქტურა, სპორტული დარბაზების დატვირთვა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილი, ეროვნული სასწავლო გეგმა, სპორტული ინვენტარი.

Школьная спортивная инфраструктура в „школе будущего“

Манучар Двали, Мамука Метревели

Резюме

В статье изложены статистические данные и реальная ситуация в средних школах страны, в большинстве которых спортивная инфраструктура не соответствует современным требованиям и национальному учебному плану по предмету физическое воспитание и спорт. В статье предложены пять основных путей решения данной проблемы а также этапы реализации данных планов.

Согласно мнения авторов в короткий срок можно частично решить проблему перегруженности спортивных залов, путем их реконструкций, использования школами дополнительных площадей для проведения уроков физвоспитания в начальных классах, а также показаны пути создания полноценной инфраструктуры в перспективе.

Ключевые слова: общеобразовательная школа. спортивные объекты и инфраструктура. перегруженность спортивных залов, урок физического воспитания и спорта, национальный учебный план, спортивный инвентарь.

Summary

Sports infrastructure in the “school of the future”

Manuchar Dvali, Mamuka Metreveli

The article provides statistical data and the actual situation at secondary schools of the country, where, in the majority of cases, the sports infrastructure does not correspond to the modern requirements and the National Curriculum for the subject of “Physical education and Sport”.

The article proposes five main ways of solving this problem, as well as the stages of implementing these plans. The authors consider that it is possible to partially solve the problem of overcrowding the sports halls in the short term, by reconstructing them, using additional

spaces for conducting lessons of physical education for junior classes. The authors also propose the ways of creating a fully-fledged infrastructure in the long term

Key words: secondary school, sports facilities and infrastructure, overcrowding of sports halls, lesson of physical education and sport, national curriculum, sports equipment.